№ 267

1877—1895

კვირა, 10 დეკემბერი 1895

# ივერია

№ 267

კვირა, 10 დეკემბერი 1895

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვი გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

„ივერია"
გამოვა 1896 წელსაც
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის" რედაქციას
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების" კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА".

ივანე როსტომაშვილის გამოცემანი 1896 წელს.

1896 წლის განმავლობაში გამოვა 18 ახალი ქართული წიგნი და 1 ალბომი—«ქართველთა ტომნი» (грузинскія племена) ასზე მეტი სურათით და მოკლე აღწერით.

პირველი ორი წიგნი—«მეთევზის შვილი» 12 სურათით და «შრომა, სიმდიდრე და ფულები» ადამ სმიტის სურათით, გამოვა ამ წლის საშობაოდ.

ფასი მთელის გამოცემისა: წლით—4 მანეთი, ნახევარის წლით—2 მანეთი. ალბომი გაეგზავნება მხოლოდ წლიურ ხელის-მომწერლებს.

ფული უნდა გამოიგზავნოს- Тифлисъ, Давид. пл. № 6, Ивану Павловичу Ростомову. (6—1).

ქართული თეატრი.
ოთხშაბათს, 13 დეკემბერს, 1895 წ.
მეოთხე გასტროლი
ეფ. ს. მესხისა.
„ქართულ დრამატიულ საზოგადოების"
დასისაგან

წარმოდგენილი იქნება
ქ-ნ მ. საფაროვისა, ე. მესხისა, კ. ყიფიანისა და კ. მესხის მონაწილეობით

I
„მადამ სან-ჟენ"

კომედია 4 მოქმედ. სარდუსი და მოროსი, თარგ. კ. მესხის-მიერ.

II
„გულმა იგრძნო"
კომ. 1 მოქმ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნი საფაროვისა, ეფ. მესხისა, ჩერქეზიშვილისა, ჩხეიძისა, ბეზირგანოვისა, და სხვ. ბ-ნნი ყიფიანი, კ. მესხი, გედევანოვი, გუნია, სვიმონიძე, კანდელაკი, ადამიძე, ცაგარელი, მჭედლიშვილი და სხვ.

ადგილების ფასი მომატებულია.
მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კაპ.
დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.
რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

ტფილისის მეორე ვაჟების გიმნაზიის გულშემატკივართა საზოგადოება ამ წლის 26 დეკემბერს გამართავს

თეთრ ბალს

ხსენებულ გიმნაზიის მოსწავლეთა სასარგებლოთ. ბილეთის ფასი ორი მანეთი. მანდილოსანი, რომელიც არა თეთრ კაბაში მოვა ბალზე, ხუთ მანეთს ჯარიმას გარდიხდის.
(3—2)

კაბინეტი კბილის ექიმთა
ვ. ი. ჟიჟინაძისა და ქ-ნის ძს. დ. ილარიონოვისა.
მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.
ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

ვკისრულობ
ყოველ გვარს სასამართლო საქმეს, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე მამულების ბანკებში დაგირავებას.
მსურველთ მოკვმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.
ოქრომჭედლების ქუჩა, სახლი პაპოვისა, № 30, იკითხეთ ა. მ. ახნაზაროვი.

## ტფილისი, 10 დეკემბერი.

—

ქართულ დაწესებულებათა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რასაკვირველია, უპირველესი ადგილი უჭირავს. მეტად საპატიო ღვაწლი მიუძღვის ამ საზოგადოებას ერის წინაშე და ეჭვს გარეშეა—ეს ღვაწლი ღირსეულად იქნება დაფასებული ჩვენის ქვეყნის განვითარების მომავალს ისტორიაში.

საგანი, რომელიც ასულდგმულებს „საზოგადოებას", მეტად მნიშვნელოვანია და რთული, პროგრამა მოღვაწეობისა, რომელიც აღნიშნულია „საზოგადოების" წესდებაში, მეტად ვრცელია. ამ პროგრამიდამ „საზოგადოებას" ბევრი შეუსრულებია და დღესაც შეძლებისა-და-გვარად ასრულებს. მაგრამ არის მისს პროგრამაში ისეთი რამ, რომლისათვის ჯერ „საზოგადოებას" სრულიად არ მიუქცევია ყურადღება, მიუხედავად იმისა, რომ ეს სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო მივიწყებული გარემოება, ღირსია მეტად დიდის ყურადღებისა.

წესდება ნებას აძლევს „საზოგადოებას" მოაწყოს საქმე ეგრედ წოდებულ სახალხო კითხვათა. სახალხო კითხვებმა კარგა ხანია საპატიო ადგილი დაიჭირეს რუსეთის არა თუ დიდრონს, არამედ პატარა ქალაქებშიაც, კარგა ხანია რუსეთის ინტელიგენციამ ეს საქმე სცნო ერთ უძლიერეს საშუალებად ქალაქის მდაბიო ხალხის განათლებისათვის.

მეტად მიგვაჩნია აქ დასაბუთება იმისა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენის ერის ცხოვრებაში, ჩვენის მომავალისათვის ქალაქის მუშათა და მდაბიო ხალხის გონების განვითარებას. დღეს ყველასათვის ცხადია, რომ აუცილებლად საჭიროა ხალხიც გახდეს მონაწილედ იმ იდეალურის მისწრაფებისა, რომელიც ასულდგმულებს ჩვენს ინტელიგენციას და ამიტომ საჭიროა დაუღალავად ვიმუშაოთ ხალხის თვით-ცნობიერების გაღვიძებისა და გაძლიერებისათვის.

თუ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელსაც წესდება ავალებს სახალხო კითხვების გამართვას, დღემდის ვერ გასძლოლია ამ საქმეს, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამის მიზეზი ის არ არის, ვითომც ამ საზოგადოების მოღვაწეთ არ ჰქონდეთ შეგნებული დიდი მნიშვნელობა სახალხო კითხვებისა. სამართლიანობა მოითხოვს დავიჯეროთ, რომ მათ არ ჰქონდათ ამისათვის საკმაო დრო, საკმაო შეძლება და არ ჰყავდათ გვერდით ახალგაზდობა—ეს საუკეთესო ძალა ამგვარ საქმისათვის. ამ ჟამად, ჩვენდა საბედნიეროდ, ტფილისში მოგროვდა საკმაო გუნდი ქართველ ახალგაზდათა და ამიტომ

# ფელეტონი

## ღმერთს სამართალი არა აქვს?

(ამბავი)

ვუძღვნი ბ...ნ...ც....ს.

ღამე იყო, ღამე ზაფხულისა. ვარსკვლავებით გადაჭედილ ცის სივრცეში მედიდურად მისრიალებდა გაბადრული მთვარე. მისგან შუქ ნატყორცნი ღრუბლები-კი ბამბის ქულასავით გადმოჰყუდებოდა კავკასიონის მთა-გრეხილს, თითქოს ღამის გუშაგს გზა უნდა შეუკრასო. უზარ-მაზარი ქედი—ბრუტი-საბძელა—ცამდის აღმართულიყო, გაეპო ღრუბლები და ათასის ხევ-ხუვის იქით, ვიწრო, მაგრამ კოპწიად შემკულ მინდორზე გაშენებულ ქართულ სოფელს მრისხანედ გადმოჰყურებდა... მშვენიერი, დიადი სანახავი იყო ეს ხელით-უქმნელი, ბუნების სურათი. იმ დროს, როდესაც ვერცხლის ფრად დაფერილი ღრუბლები ერთმანეთს ეზიდებოდა და სპეტაკ კავკასიონის მთაზე ათას გვარად იპენტებოდა, ცის მოპირდაპირე კიდე თან-და-თან ლაჟვარდდებოდა და მკრთალად მოციმციმე ვარსკვლავთა კრებულს კივკივით თავს ევლებოდა. ღამის სუსტი წყვდიადი გაუბედავად ებურებოდა ქვეყანას, მჭვარტლის ფრად იძაფებოდა, სადღაც ხრამებისაკენ მიეშურებოდა, რომ იქ ჩამკვდარიყო, იქ სავსებით გამეფებულიყო. გიჟ-მაჟი ცელქი ნიავი აქა-იქა დაფარფატებდა. ეძინა შრომისაგან დამაშვრალ სოფელს, არ ისმოდა კაცთა ხმაურობაც, მხოლოდ ნიავისგან გაღვიძებული ტყე-მინდორი განუწყვეტლად შრიალებდა, ბებერი კაკლის ხეები ბუტ-ბუტით თავს უკრავდა მედიდურ ბუნებას. შორით, შორით მოისმოდა ლიახვის ქვითინი და ეს კვნესა დაუღალავის მდინარისა ღამის საიდუმლო ხმებს ყრუ ბანს აძლევდა... ამღერდნენ ღამის მგალობელნიც, აჰყვნენ ერთმანეთს, გადააბეს ჰანგი ჰანგსა და შემომქმედის სადიდებლად კისრები მოიღერეს. მწყობრად გალობდნენ ბულბულები და ბუჩქიდგან ბუჩქზე გადადიოდნენ. აგერ ერთი მათგანი გულ-საკლავად აჭიკჭიკდა, მერე უცბად ჩარაკრაკდა, ჩარაკრაკდა და ჭყრიალით გადაევლო მიდამოს. დაყრუვდა, დათვრა ნეტარებით მთელი ხეობა, მხოლოდ ლიახვი კვლავ გუგუნით მოხმაურობდა და მაღლა-მაღლა წასული მთვარე მის ზვირთებში მორცხვი კეკლუცივით თავს ილამაზებდა!..

—

დიახ, დიადი იყო ეს ღამე. გამოუთქმელის სიტკბოებით აღსავსე იყო მთელი ბუნება. ღირსა, რომ მისი მომზირალი ადამიანი დროებით მაინც ასცილებოდა თავისს გულ-ზვიადობას და დამტკბარიყო იმათის სურათების ცქერით, გულით დ გრძნობით ამაღლებულიყო, მაგრამ დღეს ეფემია კეთილაძის გულის-თქმა ვერაფრად ეწყობოდა ბუნების სიდიადეს. იგი თავის გარშემო ვერაფერს ხედავდა, მხოლოდ პირქუშად გადმომჯდარიყო სახლის აივანზე და გაბრაზებული ილანძღებოდა.

ეფემია კეთილაძისა გახლდათ ერთი ჩვენებური, ძველებური მანდილოსანი. და მერე ისეთი, რომელიც აქამდისაც ვერ შერიგებია ძველებურ ჩვეულებათა შერყევას და რომელიც „ყოველ ახალში" გარყვნილობისა დ კუდიანობის მეტს არასა ხედავს; იგი იყო საშინელი ანჩხლი, თავის ნათქვამი დ მეტის მეტი ცრუ-მორწმუნე. ალბად ცხოვრების წაღმა-უკუღმა ტრიალს თუ გაუანჩხლებია!

ეფემიამ თავისი სიყმაწვილე შვილებს შესწირა, ეგონა „უფროსის მორჩილებაში და სარწმუნოებაში აღვზარდეო", მაგრამ მოსტყუვდა. შვილები აგრე რიგად არ ემორჩილებოდნენ და დედას ბატონყმობის დროს ადამიანს ეძახდნენ. ვაჟებისგან კიდევ ითმენდა, რადგანაც ისინი ვაჟკაცები იყვნენ და დედის აზრით ყველაფრის თქმა შეჰფეროდათ, გარდა ამისა „ის დედამკვდარები" სხვა-და-სხვა ქალაქებში იყვნენ სამსახურში და არამც თუ მათი ლაპარაკი, ნახვაც-კი ხშირად ენატრებოდა ხოლმე ეფემიას, მაგრამ ვერ ითმენდა თავისუფალ ლაპარაკს თავისს უკვე გასათხოვარ ქალიშვილს თეოსაგან, რომელიც „რაღაც ეშმაკად" სასწავლებელში გამოზარდა. იმ საღამოთიც ეფემია იმიტომ იყო გულმოსული, რომ ბინდ-ბუნდისას სასეირნოდ გასული თეო ჯერაც არ დაბრუნებულიყო.

— ერთი აქ მოვიდეს ის ძაღლის წიწილი! არა აქამდის სად გამიგონია გასათხოვარი ქალის გარედ გდება! მერე ვინ იცის იმ ბიჭთან არის, მაშინ ხომ სულ ბუწუწებიდგან გავცლი იმ მაიმუნსა! ბუტ-ბუტებდა ეფემია და სიბრაზისგან არ იცოდა რა ექნა. მაგრამ ტყუილად ავ-ზნეობდა თავისებური მანდილოსანი, ბადრი მთვარე გაქანებული მიეშურებოდა დასავლეთისაკენ, გაცრეცილი ვარსკვლავები ოდნავ-ღა ბჟუტავდნენ და თეო-კი არსადა სჩანდა. ეფემიას ლოდინში თვალები ამოუღამდა და თვლემა დაიწყო. მთვარის შუქი სახეზე დაჰფარფატებდა აივნის მოაჯირზე მიყუდებულს ეფემიას და უიმისოდაც გაბრაზებულს მომაკვდავის ფერი დასდებოდა.

— ოიმე! ერთი აქ მოვიდეს, ერთი აქ მოვიდეს! დრო გამოშვებით წამოიძახებდა ხოლმე ეფემია და კვლავ უცდიდა.

—

სოფლის ბოლოს, კაკლებით დაფენილ სერზე, მოსჩანდა ერთი ქალ-ვაჟი. ესენი კარგა ხანია გამოსულიყვნენ სოფლის განაპირას და ადამიანის ცნობის-მოყვარე თვალთაგან მოფარებულნი ერთმანეთს გულის ნადებს უზიარებდნენ. ყმაწვილი კაცი მხარ-თეძოზე წამოწოლილიყო, თავი ქალის კალთაში ჩაედვა და საყვარელ არსების სიახლოვით დამთვრალი გამოუთქმელ ნეტარებას ეძლეოდა. ბალახზე მოკეცილი ქალი-კი დახრილიყო ვაჟის სახეს, ხელებით თმას უსწორებდა და ისე ჩასცქეროდა თვალებში, გეგონებოდათ მთელი თავისი არსება იმის თვალებში უნდა გადაადუღოს, ან გულში ჩაუძვრეს და იქ სულის საძირკველთან დაისადგუროსო. ისხდნენ გაუნძრევლად, მარტო გაძნელებული სულთქმა ჰმოწმობდა, რომ გამოუთქმელ სულისკვეთებაში უნდა ყოფილიყვნენ... ნაზი ნიავი ტკბილ ძილის-პირს უგალობდათ და სასწორს გადაცილებული მთვარე ალმაცერად გადმოჰყუ-

შესაძლებელად ხდება ვიკისროთ სასარგებლო საქმე, აღვასრულოთ მოვალეობა, რომელიც წინა თაობას უძღვნოდერქებია ჩვენთვის მის მიერ შედგენილ წესდების საშუალებით.

მით უმეტეს დროა შევუდგეთ ამ საქმეს, რომ თვით ხალხი ძალიან მოწადინებულია ისწავლოს, თვით ხალხსა ჰსურს თავისუფალი დრო სასარგებლოდ გამოიყენოს და გონების განვითარებისათვის მოიხმაროს. ამას ამტკიცებს თუნდ ის გარემოება, რომ მისმა წარმომადგენლებმა საკუთარის ინიციატივით, საკუთარის ძალით დაიწყეს და დღესაც აწარმოებენ სახალხო წარმოდგენების საქმეს; გარდა ამისა არა ერთხელ გაგვიგონია ხელოსანთა და სხვა მუშა ხალხის წრეებიდამ—მოდით, ამა-და ამ საგნის შესახებ წაგვიკითხეთ ლექცია და სხვა...

ბოლოს დროს ტფილისის ქართველ ახალგაზდებმა განიზრახეს სახალხო წარმოდგენების საქმის ხელთ აღება და ამისათვის კიდევაც შეუდგნენ მზრუნველობას. ერთ-ერთს სხდომაზე ჩამოვარდა ბაასი სახალხო კითხვებისა, ლექციებისა და სალიტერატურო საღამოების შესახებაც. ახალგაზდათა წრემ შესაძლებლად დაინახა, ამ საქმესაც მოჰკიდოს ხელი. უეჭველია ქართველი საზოგადოება სიხარულითა და თანაგრძნობით მიეგებება ამგვარს განზრახვას და თავის მხრით ყოველგვარს დახმარებას აღმოუჩენს ინიციატორთ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალგაზდათა წრის ენერგია არ შესუსტდება და ღირსეულად დააგვირგვინებს სასარგებლო განზრახულებას.

ზევითა ვსთქვით, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას წესდება ავალებს სახალხო კითხვების გამართვას, მაგრამ დღემდის მას ვერ შესძლებია—ეზრუნა ამისთვის. იგივე ითქმის დრამატიულ საზოგადოების შესახებაც, რომელიც ვალდებულია მოაწყოს ხალხური თეატრის საქმე და აგრეთვე აქამდის ამისთვის არა გაუკეთებია-რა. მივაქცევთ ამ „საზოგადოებათა“ მმართველების ყურადღებას ახლად დაარსებულ წრეს, რომელსაც უკისრია დღეს მათი საქმე, ერთი მათგან მივიწყებული მოვალეობა. საჭიროა ამ „საზოგადოებათა“ ორთავე გამგეობამ ჯეროვანი დახმარება აღმოუჩინოს ახალგაზდათა წრეს, საჭიროა შეაძლებინოს მას განზრახულის საქმის დაგვირგვინება. ჩვენის ფიქრით, შესაძლებელია ორთავე გამგეობამ ხსენებული წრე აღიაროს თავისს კომისიად, რათა „საზოგადოებათა“ მფარველობითა და სახელით ფართო გზა მიანიჭოს მას და იმავე დროს ფულითაც და სხვითაც, რითაც-კი საჭირო იქნება, შემწეობა არ მოაკლოს ხოლმე.

თუ წერა-კითხვისა და დრამატიულ საზოგადოების გამგეობანი გულმხურვალეთა და თანაგრძნობით მიეგებებიან ახალგაზდა წრის განზრახვას, მათი ღვაწლი ქვეყნის წინაშე ერთი-ორად იმატებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დააბრკოლებენ ისეთ საქმეს, რომლის დაბრკოლება ჩვენს ერს მეტად ავნებს.

ლალი.

# ახალი ამბავი

*** «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» სასარგებლოდ დანიშნულ წარმოდგენის ბილეთები თვით წარმოდგენის დღეს გაიყიდება როგორც საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ისე თეატრის კასსაშიაც.

*** დღეს, 10 დეკემბერს, სიონის ტაძარში საღამოს ლოცვის შემდგომ გარდახდილ იქმნება დაუჯდომელი და ქართულს ენაზე ქადაგებას წაიკითხავენ.

*** ტფილისის გუბერნატორმა ქალაქის საბჭოს მიუწერა დაუყოვნებლივ გახსნან საავადმყოფო მძიმე სენით გადამდებ ავადმყოფ ბაშვთათვის. გუბერნატორის მოწერილობით საავადმყოფოში უნდა მიიღონ ხოლმე აგრეთვე ავადმყოფ ბაშვთა დედებიც, თუ ბაშვი 5 წლისაზე მეტისა არ არის.

*** იმ ქალაქის მასწავლებელთ, რომელთაც არა ნაკლებ სამის წლისა უმსახურნიათ და შემდეგ სამსახურისათვის თავი დაუნებებიათ, უმაღლესად ეძლევათ ნება შინაურ მასწავლებელთა სახელი ატარონ და ამისათვის არავითარი გამოცდა არ დასჭირდებათ.

*** ამ ჟამად იბეჭდება ქართველ ამხანაგობის სტამბაში ახალი წიგნი: „თავ-დადებულნი ქართველნი“, რომელშიაც მოთავსებულია ოთხი ისტორიული მოთხრობა, შემკული 9 სურათით. იბეჭდება ექვსი ათასი (6000) ცალი და წიგნი მზად იქნება გასასყიდად ოც დეკემბრისათვის.

*** კავკასიის სტიპენდიატებად დანიშნულ იქმნენ სტუდენტი დიაჩკოვ-ტარასოვი—მოსკოვის უნივერსიტეტში, კარგარეთელი ხარკოვისაში, პიანიშევი მოსკოვის საიმპერატორო სატეხნიკო სასწავლებელში, ასპეროვიჩი და დეულინი სამოქალაქო ინჟენერთა ინსტიტუტში და ტფილისის მე 3 კლასიკურ გიმნაზიის მოსამზადებელ კლასის მოწაფე კეკნაძე ლაზარევის აღმოსავლეთ ენათა ინსტიტუტის გიმნაზიაში.

*** ხონის სამასწავლებლო სემინარიასთან, ქ. ნუხის საქალაქო სასწავლებელთანა და განჯის საქალაქო სასწავლებლის შენობაში მთავრობამ ნება დაჰრთო მოზრდილთათვის საკვირაო სკოლები გახსნან; ამასთანავე პირველ სასწავლებელთან განმეორებითი საკვირაო კურსები იქმნება გახსნილი მოზრდილთათვის, სადაც მათ ხატვასა და ხაზვას ასწავლიან და წაუკითხვენ ხოლმე მოკლე ლექციებს ქიმიისა, ფიზიკისა და სასოფლო მეურნეობიდამ; განჯის საქალაქო სასწავლებელთანაც იქმნება გახსნილი საკვირაო განმეორებითი კურსები და აგრეთვე საკვირაო კითხვათა კურსები რუსულს ენაზე, ბუნდოვანი სურათებით (ტ. ლ.).

*** რუსეთის საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილების გამგეობა აცხადებს, რომ განყოფილების ბიურო, რომელიც კავკასიის სააბრეშუმო სადგურის შენობაში იმყოფება, გარდა კვირა-უქმე დღეებისა ყოველ-დღე ღია იქმნება დღის 12-დამ ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5-დამ 6 საათამდე.

*** როგორც კავკასიის რკინის გზის გამგეობის-მიერ მიღებულ ცნობებიდამ სჩანს, 7 დეკემბერს მოსულს წვიმას, რომელიც მეორე დღესაც არ შეუწყდარა, კვლავ მოუზღვავებია ყვირილასა, მოლითსა და ბელაგორს შუა ყველა მდინარეები და წაულეკნია ის ადგილები, სადაც ახლად აყრიდნენ მიწას რკინის გზის ლიანდაგის დასაგებად. წყალს მთლად დაუგლეჯია აჯამეთის დროებით ხიდისათვის ახლად ჩაყრილი ბოძები, დაუგლეჯია მოლითსა და ბელაგორს შუა სახელმწიფო ტელეგრაფის ბოძები და სხ. ამისათვის სახელმწიფო რკინის გზათა გამგეობის უმცროსმა თავმჯდომარემ გორჩაკოვმა განკარგულება მოახდინა დაუყოვნებლივ იქმნან გაგზავნილნი ინჟენერები, რათა გამოიკვლიონ შეიძლება თუ არა რიონსა და ყვირილას შუა მდინარის მარჯვენა ნაპირზე იქმნას გაყვანილი გზა ისე, რომ დღემდის მდ. ყვირილაზე არსებულს ორს ხიდს ასცდეს. თვითონ გორჩაკოვიც გუშინ, 9 დეკემბერს, წავიდა ახლად დაზიანებულ გზის გასასინჯად.

*** გუშინ, 9 დეკემბერს, ტფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის შენობაში მოხდა საჯაროდ ვაჭრობა ქალაქის 9 მამულისა. ამათგან გაიყიდა 8, სულ 148,585 მან., დარჩა ერთი გაუსყიდველი. ამ დარჩენილ მამულისათვის მეორედ იქნება საჯაროდ ვაჭრობა დანიშნული 28 დეკემბერს. სხვა ქალაქების მამულების საჯაროდ ვაჭრობა დანიშნულია 11 დეკემბრისათვის, ხოლო სოფლის მამულებისათვის—14 დეკემბერს.

---

რებდა შეყვარებულთ, თავისი სხივები ხის ტოტებში ჩაეპარებინა და თითქოს ყური უნდა დაუგდოსო, სვეტ-სვეტად დასდგომოდათ.

— აი, ჩემო თეო, რასა ჰქვიან ნეტარება, დაიწყო ათრთოლებულის ხმით ყმაწვილმა. აი, სად არის ის ბედნიერება, რომელიც კაცს სულით ამაღლებს და ზნეობა-ხასიათით-კი აფაქიზებს. ამ ჟამად ისე ამაღლებულადა ვგრძნობ თავსა, რომ მზათა ვარ ყოველ-გვარ ბოროტებას წინ გადავეღობო და კაცის სიცოცხლის მომწამვლელ ძალ-მომრეობას ქვაზე თავი ვუხალო. მზათა ვარ ყველას სიცოცხლე შევწირო, ოღონდ-კი შენს თავს ნუ დამაშორებენ! ოჰ, რა ძლიერ მიყვარხარ, ჩემო სალოცავო, გატაცებით წამოიძახა ყმაწვილმა კაცმა, წამოიწია, ძლიერის ხელებით მოზიდა თავისკენ თეოს სახე და ხანგრძლივ დაეკონა.

— ხომ ჩემი ხარ... ჩემი... ხომ ყოველთვის გეყვარები, ხომ აიტან ჩემთან ერთად ღარიბსა და უფერულ ცხოვრებას?! ჩასძახოდა ყმაწვილი გულზე მისვენებულ თეოს და აღელვებული სუნთქვას ძლივს იბრუნებდა... მიბნედილი თეო-კი ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა და კანკალით ჩურჩულებდა:—შენი ვარ შენი, ჩემო სიცოცხლევ, ზურა, და სამარეშიაც-კი თან წამოგყვებიო!

დაღნენ, დაუძლურდნენ ორივენი და ნეტარების ბურანში გაეხვივნენ. ენა აღარ ემორჩილებოდათ, მხოლოდ ცეცხლით სავსე თვალებით ერთმანეთის სულში უძვრებოდნენ. ვინ იცის რამდენს ხანს გასტანდა ეს თავ-დავიწყება, მაგრამ ამ დროს კაკლის ჩრდილი სერზე ფართოდ წამოხარა. შეყვარებულები შეკრთნენ და ერთმანეთს მოერიდნენ. დამშვიდდა ყმაწვილი კაციც და თითქოს ერთმანეთისა შერცხვათო, კრძალვით ღიმილი-ღა დაიწყეს.

— მე რა ვქნა, რომ მიყვარხარ?! ამბობდა ყმაწვილის თვალები.

— მე რა ვქნა, რომ მიყვარხარ?! იმეორებდა თეოს მთელი არსება და ძალაუნებურად სატრფოს მხარზე ეყრდნობოდა,—და ისევ გამოუთქმელის გრძნობით გატაცებულნი, ხან გულ-ჩვილ ყმაწვილებივით ქვითინებდნენ, ხან ძლიერის ცეცხლით აღფრთოვანებულნი მზად იყვნენ დაეჩოქათ მედიდურის ბუნების წინაშე და ცრემლით შევედრებოდნენ ერთმანეთის დღეგრძელობას, ხან უძლურებივით ოხრავდნენ, ხან კიდევ გმირად გადაქცეულნი თვისის ბედნიერების შემბღალველს ემუქრებოდნენ.

— დასტკბით, დასტკბით! ცოტა არის მაგ გვარი წუთები კაცის ცხოვრებაშიო, დაჰბუტბუტებდათ დახავსებული ნიგვზის ხე და ზანტად ფოთლებს ითვლიდა.

—

გატყდა ღამე. ქვეყნის მნათობმა დიდი ხანია დაიქვეითა და მივიწყებულ ხევ-ხუვშიაც ჩაიხედა. ღამე უფრო დაყრუვდა, გამედიდურდა. გიჟი ნიავი სადღაც ჩამკვდარიყო და ლიახვსაც, თითქოს დასძინებიაო, ზმუილი-ღა გაუდიოდა.

თეო და ზურა ისევ სერზე იდგნენ. ქალი ვაჟს მხარზე დაყრდნობოდა, ვაჟს წელზე ხელი შემოეხვია და ისე გაჰყურებდნენ კავკასიონის მთაგრეხილზე ღრუბლებისგან გამოქანდაკებულს მშვენიერს სურათებს.

აგერ ერთი ღრუბელი შეინძრა, ფრთა შემოჰკრა მეორეს, გაიშალა, გაიშალა და საყვარლად გადაპენტილმა ნაკვთი გამოიცვალა. სხვებიც აჰყვნენ მის მაგალითს, რხევა დაიწყეს და ერთმანეთს ჩაეგრიხნენ. ალაგ-ალაგ ცის კამარამ შავად გამოიხედა. ვარსკვლავებმა ერთმანეთს შესციმციმეს და კვლავ ღრუბლებს ამოეფარნენ. ზურა და თეო გატაცებით დაშტერებოდნენ ღრუბელთა სრბოლას, მაგრამ ვინ იტყვის, რომ ამავე დროს მათი სიყვარულით აღვსილი გრძნობა-გონება ღრუბლების დაგვარადვე იმედებით არ იფურჩქნებოდა და „სიძნელეს ცხოვრების გზისას არ იადვილებდა“. ან იქნება მათ ამაღლებულ ფიქრებს ბედნიერების მისაღწევად საჭირო ბრძოლა ზედ დართოდა და ამ შერეულის გრძნობის ზედგავლენით, უსიტყვოდ, მარტო ოცვრით უზიარებდნენ ერთმანეთს ძლიერ სულის-კვეთებას. დიაღ, ხან-დის-ხან ენაც ვერ შესძლებს ხოლმე გულის სიღრმეში ჩანასახ შერეულ გრძნობის გამოხატვას!

— წავიდეთ, წავიდეთ, ზურა, თორემ მგონი დედაჩემი კბილებს მილესავს, დრო გამოშვებით იტყოდა ხოლმე თეო, მაგრამ ისევ იქ-კი იდგნენ. დაშორება ეზარებოდათ.

— წავიდეთ, ერთხელ კიდევ გაიმეორა თეომ.

— ეჰ, წავიდეთ, დაბლად უპასუხა ზურამ და დაუმატა: წავიდეთ, მაგრამ თუ ხათრი გაქვს, გულს ნურაფერზე გაიხეთქავ. რა ვქნათ, რომ არ ესმით რასა სჩადიან! ცოტა კიდევ მოვითმინოთ და იქნება ბოლო მოეღოს ჩვენს ტანჯვასა. ეს ოხერი მდიდარი მაინც ვიყო, რომ დედიშენის გულიც დამშვიდებული იყოს, გაუბედავად სთქვა ზურამ.

— სსუ! ჩემო იმედო, სიმდიდრე—გულწრფელობაა და ბედნიერების მომნიჭებელი-კი სიყვარული და დაუღალავი შრომაო, მგონი მე შენგან გამიგონია, სიყვარულით სავსე ღიმილით შენიშნა თეომ.

— ოღონდაც, ჩემო თეო, მაგრამ... შენ რომ იმიტომ გტანჯავენ, რომ ღარიბ კაცს ნუ მისდევო. ყრუდ, ნაღვლიანად უპასუხა ზურამ და წასასვლელად მოემზადა.

— არა, არა, ზურაბ, მე რა დამტანჯავს, თუ-კი შენ ყოველთვის ჩემთან იქნები. იქნება გგონია მე მაგაზე მეტი ბრძოლა არ შემეძლოს? გამიძღე წინ, შევუდგეთ ცხოვრების უსამართლობასთან ბრძოლას და თუ არ მოგყვე, ადამიანს ნუკი, მარტო დიაცი დამიძახე.

— მაშ კარგი, შენ ნუ შეღრკები, ცხოვრების ფუქსავატობა ნუ გაგიტაცებს, და მეც დაგიმტკიცებ, რა შეუძლიან შენთვის და პატიოსნებისათვის თავ-დადებულ ადამიანს. აღტაცებით დაუმატა ზურამ, მხურვალედ გაუწოდა ხელი და სერიდამ თავქვე დაეშვნენ...

— ნახვამდის, ზურა, მიაძახა სახლთან მიახლოვებულმა თეომ.

— ნახვამდის, ჩემო შვლის ნუკრო, გაიმეორა ზურამ და გრძნობა მორეული შინისკენ გამობრუნდა.

—

უი, ქააა! ერთი ნახეთ, რა ყოფაში არიან ეს მამა—ძ—ები! დაცინვით წამოიძახა აივანზე მყოფმა ეფემიამ და ზეზე წამოიჭრა. ეფემია ეხლა უფრო ფხიზლად გრძნობდა თავს, რადგანაც ერთი პირი კიდეც გამოიძინა თეოს მოლოდინში, მაგრამ რამდენადაც ძილმა დაამშვიდა, ორი იმდენად განაგონმა „ნახვამდის“! გააფთრა და გააბრაზა.

თეომ საჩქაროდ აირბინა კიბე და რადგანაც დედა ვერ შენიშნა, სახლში შესვლას აპირებდა.

— მშვიდობა შენი მობძანება. სადა ხარ აქამდის, ქალბატონო? წყნარის, მაგრამ, ცოტა არ იყოს გესლიანის კილოთი, მიჰმართა ეფემიამ.

თეო შედგა. ერთხანს გაშტერდა, თითქო ამ დროს დედის გარედ ყოფნას არ მოელოდაო და შემდეგ მშვიდად უპასუხა:

— სად უნდა ვყოფილიყავ. განა ამისთანა უკვდავება ღამეში ამაზე ადრე დაიბუდებს ადამიანი? აბა დახე, რა მშვენიერებაა ეს დაძინებული ბუნება.

—აი, მეხი-კი დაგაყარე მაგ თავში! მაგისთანა მიქარვები რომ იცი, რატომ ის-კი აღარ იცი, რომ შენოდენა გომბიო ამ დროს გარედ არ უნდა ეგდოს. შენ-კი ვერა ხედავ, რამოდენა სირჯულ-ძაღლეა ქვეყანაზე, ჰააა! დაიღრიალა ეფემიამ.

თეო სდუმდა.

— გესმის, შენოდენა გომბიოს სახლიდამ გარედ თავი არ გაეყოფინება-მეთქი! განა რამდენჯერ მითქვამს შენთვის, შე უმსგავსო, შენა! უყვიროდა ეფემია და მეტის სიბრაზისაგან თვალებს აბრიალებდა.

მართალია თეოს პირველად არ ესმოდა დედის ამგვარი ლაპარაკი, ახლაც შეეძლო პასუხი არ მიეცა, მაგრამ გარდასწყვიტა ერთხელ კიდევ დაემშვიდებინა.

— აბა რათა ჯავრობ, ჩემო დედა, ხომ გაიგე, რომ მე შენის შეხედულებისა არა ვარ მაგ საგანზე და გარდა ამისა მე ჩემის გარედ გასვლით არავის ცუდს არ ვუშვრები. მად-

### შეცდომის გასწორება:

„ივერიის“ 263 №-ში შემოწირულებაში შეცდომით გამოშვებულია გვარი შემომწირველის ს. ცაგარეიშვილისა, რომელსაც 1 მან. შემოუწირავს.

## უცხოეთი

—

**შვეიცარია.** „ინდეპანდანს ბელჟ“-ი შემდეგს ბიოგრაფიულს ცნობებს იძლევა შვეიცარიის რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტის შესახებ. ლაშენალი 46 წლისაა, მიუღია იურიდიული განათლება და ჟენევაში ადვოკატად ყოფილა. იგი ამორჩეულ იქმნა რადიკალთა პარტიის მიერ ნაციონალურს საბჭოში და 1892 წ. ფედერალურ საბჭოს წევრად იქმნა დანიშნული, სამსახურიდამ გადამდგარ დროზას მაგიერად. ამ დროიდამ მოკიდებული ლაშენალი საგარეო საქმეთა და ვაჭრობის დეპარტამენტს მუდამ თავში უდგა. ლაშენალი განათლებული კაცია და თვალს ადევნებს როგორც ლიტერატურას, ისე პოლიტიკას და საზოგადო ცხოვრებასაც. იგი დიდი მოყვარულია სამეცნიერო წიგნებისა და მუდამ სცდილობს რაც შეიძლება გაამდიდროს თავისი წიგნთ-საცავი სხვა-და-სხვა ძვირფას გამოცემებით. გარდა ამისა ლაშენალს ძლიერ უყვარს ფიზიკური ვარჯიშობა—ალპებზე ასვლა და ველოსიპედით სიარული. რესპუბლიკის ვიცე პრეზიდენტად სამრეწველო და სასოფლო მეურნეობის დეპარტამენტის გამგე დეიხერი იქმნა დანიშნული.

—

**გერმანია და ავსტრია.** როგორც გაზ. „ტან“-ის კორესპონდენტი იუწყება სარწმუნო წყაროებიდამ, ავსტრიასა და გერმანიას გადაუწყვეტიათ მომავალ 1900 წლის პარისის გამოფენაზე ოფიციალური მონაწილეობა მიიღონ. ამ აზრით ავსტრიას თავისს განყოფილებისათვის 2,000,000 ფლორინი გადაუდვია, ხოლო გერმანიას 10,000,000 მარკი. როგორც ვუწყით, ამ სახელმწიფოთ უარი სთქვეს 1889 წლის პარისის მსოფლიო გამოფენაზე მონაწილეობა მიეღოთ.

—

**იაპონია.** ამას წინად გაზეთებმა ხმა გაავრცელეს, ვითომც ევროპის სახელმწიფოებს იაპონიისაგან მოეთხოვოს კორეიდამ ჯარის გაყვანა დაუყოვნებლივ. ლონდონიდამ მოსული დეპეშა ამბობს, ეს ხმა ტყუილიაო, რადგანაც თვით იაპონია იმის ცდაშია, რაც შეიძლება მალე დასტოვოს კორეს ტერრიტორია; როგორც-კი უკანასკნელი რაზმი იაპონიის ჯარისა გავა ლიატონგიდამ, მაშინვე კორეც დატოვებულ იქმნებაო.

—

**იტალია.** იტალიის ჯარის დამარცხებამ აფრიკაში მეტად გაამწვავა დასთა ისედაც დიდი უთანხმოება. ოპპოზიცია, რომელიც წინააღმდეგი იყო აბესინიაში გალაშქრებისა, ახლა შემთხვევით სარგებლობს, რათა გაჰკიცხოს და დაჰგმოს კრისპის პოლიტიკა. ამ დღეებში სკანდალი მოხდა თვით პარლამენტში. როდესაც მინისტრმა სარაკკომ გამოაცხადა იტალიელთა ჯარის დამარცხების ამბავი, დეპუტატმა იმბრიანმა ხმა მაღლა დაიძახა: „ძლიერ მწყინს, რომ ეს სისხლი არ დაინთხა ტრიესტის ავსტრიელთ ბატონობისგან განთავისუფლებისათვისო!“ შეიქმნა ყვირილი: „გაჩუმდით, გეყოფათ“! პარლამენტის თავმჯდომარემ ძლივს დააშვიდა კრება, იმბრიანს კი ლაპარაკის ნება წაართვა.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ.)

აფრიკაში იტალიელთა დამარცხების შესახებ შემდეგს დაწვრილებითს ამბავს იუწყება გაზ. „ტრიბუნა“. ამ ბრძოლის დროს იტალიელთ 2,400 კაცი მოჰკვდომიათ.

მიზეზი დამარცხებისა, ხსენებულ გაზეთის სიტყვით, ყოფილა ის, რომ დროზე ვეღარ შეუტყვიათ იტალიელთ, სად და რა პოზიცია ეჭირათ აბესსინელთ. მაიორს ტოზელლს ჰგონებია, რომ გენერალი არიმონდი თავისის ჯარით აბესსინელებზე მიდისო, ხოლო ეს უკანასკნელი-კი თავისს ადგილას მდგარა და ჰგონებია ტოზელლი უკან იწევს, რომ მე შემომიერთდესო. გარდა ამისა არიმონდის მიერ ტოზელლთან გაგზავნილი შიკრიკნი აბესსინელთ შეეპყრათ გზაზე. ვიდრე აბესსინელნი დაესხმოდნენ თავს, რას-მაკონენს და ტოზელლს ერთმანეთში მიწერ-მოწერა ჰქონიათ გამართული. რას-მაკონენს უცნობებია მაიორის ტოზელლისათვის,—მართალია იტალიელთ ვმეგობრობ, მაგრამ არ შემიძლიან თავს არ დაგესხათ, რადგანაც ნეგუსის ბრძანება მივიღეო. ამ წერილზე ტოზელლს მუქარის პასუხი გაუგზავნია—მენელიკს ტახტიდამ ჩამოვაგდებო. ამ მიწერ-მოწერის დროს აბესსინელთა ჯარი, 30,000 კაცი, იტალიის მოწინავე ჯარს გარს თურმე შემოერტყა. შაბათს, დილით, აბესსინელთა ჯარის ქვეითა და ცხენოსანი მოწინავე რაზმები იტალიის მოწინავე ჯარის მარჯვენა მხარეს მიუახლოვდა. იტალიელთ ეს რაზმები მოიგერეს, მაგრამ მათ უკან მოჰყვნენ სხვა 4,000 კაცი; ამათ ცეცხლით მიეგებნენ იტალიელნი. ამ დროს იტალიელთა ჯარს მარცხენა მხრიდამ 10,000 კაცი დაეცა თავს, ხოლო 12,000 აბესსინელმა შუაგულ ჯარს მიაშურა და უკან დასწია. მიუხედავად იმისა, რომ იტალიის არტილერიამ ცეცხლი ერთი-ორად გააძლიერა, აბესსინელთ მაინც დაიჭირეს იმათი პოზიცია. გენერალს არიმონდს მიმშველი ჯარი არსაიდამ გაუჩნდა; მაშინ მაიორმა ტოზელლიმ ბრძანება გასცა უკან დაეწიათ. მაგრამ არც უკან დახევა იყო ისე ადვილი: ირგვლივ მაღლობ ადგილებიდამ აბესსინელთა ტყვია სეტყვასავით მოდიოდა და იტალიელთ ასე განკლეს. ნახა რა ტოზელლმა, რომ ვეღარას გახდებოდა, სარდლობა ბოდრეროს გადასცა, რომელმაც 300 კაცით-ღა მოასწრო გაქცევა; დანარჩენნი ჯარისკაცნი და ტოზელლიც დაიღუპნენ. აბესსინელთა ცხენოსანი რაზმი უკან მისდევდა უკუ ქცეულ იტალიელთ და არიმონდის ბანაკთან მეორე შეტაკება მოუხდათ, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ იტალიელთ მაკალესაკენ დაიწიეს უკან. იტალიის ჟურნალ-გაზეთობა საშინლად აღელვებულია ამ დამარცხების გამო. „Secolo“ შენიშნავს ამ საგნის შესახებ, რომ კრისპის ჰსურდა ეფიოპთა იმპერიის გვირგვინი შეემოსა და ამის მაგიერად-კი 2, 000 „იტალიელთა თავების“ გვირგვინი შეიმოსა.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბავი.

— შეთოფ-იარაღება ევროპის სახელმწიფოებისა ისე გაძლიერდა და გადიდდა, რომ მიიქცია ყურადღება საზოგადოებისა არამც თუ მარტო ევროპაში, ამერიკაშიაც და ბევრი ლაპარაკი ასტეხა მთელს ევროპის ერთმანეთთან დაჯახებაზე. ეხლახან ერთს ჩრდილო ამერიკელ ზღვის ინჟენერს რიჩმონდ პირსონ გობსონს დაუწერია წერილი ამ სათაურით: „მდგომარეობა ევროპისა; აზრი მოსალოდნელ ომის თაობაზე.“ ჩვენ რაც შეიძლება მოკლედ მოვიყვანთ მის მიერ თქმულს, რომელიც საკმაო ვრცლად მოთხრობილია ჟურნალში, საიდამაც ჩვენ ეს ამბავი მოგვაქვს. აი გობსონი რას ამბობს სხვათა შორის:

მას აქედ რაც 1870—1871 ამბები მოხდა, მთელი ევროპა შეუდგა მხედრობის გაძლიერებასა და ეხლა ყველა სახელმწიფომ მიაღწია იმ ზომამდე, რომ თითქმის მეტი აღარ შეიძლებაო. მარტო რუსეთი უნდა გამორიცხულ იქმნას. თუმცა მხედრობა მისი უიმისოდაც ძლიერია, მაგრამ იმის გაძლიერებას ბოლო არ უჩანს, და დასასრული არა აქვს. ომის ატეხა უეჭველია და აუცილებელი, თუმცა ყოველის მხრით მშვიდობის მოყვარეობას ჰქადაგობენ. არა გვგონიაო, ეხლანდელებ შორის იყოს იმისთანა კაცი,

---

ლობა ღმერთს ისეთი პატარა არა ვარ, რომ ჩემი მოვალეობა არ მესმოდეს.

— რაო, რაო, შენ რომ მაგისთანა ყბედობა გისწავლია, მაშინ წახდა ქვეყანა. ემანდ ხმა ჩაიწყვიტე. თორემ, ღვთის წყალობა მაქვს, მე შენ დღე დაგაყარო?! არა, შე უბედურის შვილო, მაშ, დიდი პატიოსნებაა შუა ღამისას ალქაჯივით გარედ დახეტიალობდე? ახლა რომ დაენახე ვისმე, აბა რას იტყოდა, ჰა!

— მე სრულიადაც არა ვცხოვრობ იმისთანებისათვის, ვისაც არც-კი ესმის, რას ლაპარაკობს და სრულიადაც არ ვაფასებ იმათ შეხედულებას, ცოტა არ იყოს ხმის კანკალით უთხრა თეომ.

— აი გლახა-ამპარტავან ზურიასთვის ხომ ცხოვრობ! ვეღარ მოითმინა ეფემიამ და შეჰკივლა.

— ე მანდ შენთვის გაჩერდი, ე ქვეყანას ნუ აუბედებ, თორემ, მამაჩემ ქაიხოსროს აქვს ცხონება, გადმოგიღებ და რაც სიგრძე გაქვს, იმ სიბრტყეს მოგცემ. მეყო, მეყო ამდენი მოთმენა! ეხლაც იმასთან იყავ, არა? სთქვი-მეთქი, სთქვი, აღელვებით, ხმა ჩახლეწილად წამოიძახა ეფემიამ და გვერდზე მოუდგა.

— მერე, მე როდის გიმალავ, ან-კი რა საძრახისია, რომ ადამიანი თავისს საყვარელ არსებასთან იყოს? გაბედვით უპასუხა თეომ.

— დახე, დახე ამ მამ—სა, თუ ერთი ბეწვა დარცხვენა ჰქონდეს! გოგო, რეებს ლაპარაკობ? გოგო, რათ მარცხვენ? განა იმიტომ გამოგზარდე პენციონებში, რომ ვიღაც ზურაა, იმას წაჰყვე? ან-კი, რა ნახე იმ კუდიანის შვილში. წამალი ხომ არ გაჭამა, მგლის ქონი ხომ არ მოგისვა, იმ მამა-პაპა—ძ—მა! მე ხომ წინადაც დაგიშალე, ნუ დასდევ-მეთქი, შენ კიდევ შენსას არ იშლი, განა! თან-და-თან წიწმატდებოდა ეფემია და რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაჰკიოდა:

— ღმერთო, ღმერთო, ეს რა დრო დაგვიდგა! აი მეხი-კი დავაყარე, ვინც ქალი სასწავლებელში გამოზარდოს!..

თეოს რაღაცა უნდა ეთქვა. უნდოდა გაემტყუვნებინა ეფემია. უნდოდა თავისს წმიდათა-წმიდა დაეცვა, მაგრამ ამ დროს გააფორებული დედა მივარდა საბრალო ქალსა, ერთი ორი ქიმუნჩი უთავაზა და ჩმეტა-ხორცების გლეჯით საწოლთან მიათრია.

დიდი შეურაცხყოფა იყო შესმენილის გასათხოვარის ქალისათვის დედის ასეთი მოპყრობა, მაგრამ ეფემია, როგორც უკვე მოგახსენეთ, ისეთი ადამიანი გახლდათ, რომ, როცა გაანჩხლდებოდა ხოლმე, ყოველგვარ მოსაზრებას ჰკარგავდა და ამასთან ისეთის უშვერის პირით და უწმაწურის სიტყვებით ილანძღებოდა, რომ კაცი ყურებზე ხელს დაიფარებდა.

დედას, მამას, რჯულს, ღმერთს, სარწმუნოებას, შინაურს და გარეულს დომხალივით აურევდა ხოლმე ერთმანეთში. შვილებს ბევრჯელ ურჩევიათ, თავი დაანებე მაგისთანა ლანძღვა-გინებასაო, მაგრამ დოინჯ შემოდგმული ეფემია თავ-დაჭერით ეუბნებოდა:

— დიახ, მამა გიცხონდათ! კარგად მოიქეცით და აღარ გავილანძღები. ავი შვილი დედ-მამის მაგინებელიაო.

ამ ჟამად ლანძღვა-კი არა, მზად იყო კბილებით დაეგლიჯა თავისი ქალი. რას ბრძანებთ, ეფემიას მოთმინების ძაფი გაუწყდა. აგერ რამდენიმე ხანია სულ იმას ეჩიჩინება თეოს, თუ ჩემი დედაშვილობა გინდა, ისე მოიქეცი, როგორც მე გირჩევ, თორემ ინანებო. რითი ემუქრებოდა ეფემია, ან რაში ინანებდა, ეს ეფემიასათვისაც გამოურკვეველი იყო, მხოლოდ ეს-კი აშკარაა, რომ დედის თავ-მოყვარეობას, რწმენა-შეხედულებას და შვილის ურჩობა - წინააღმდეგობას სასტიკი ბრძოლა გაემართნათ, რომელსაც ეფემია გაეავკაცებინა და თეო-კი უფრო განემტკიცებინა ხასიათით.

ეფემია როგორც „ცხოვრებაში გამოცდილი“, მაგრამ უმეცრებით გარემოცული, ადამიანის ღირსებას სმა-ჭამითა და ჩაცმა-დახურვით აფასებდა, თეო-კი, როგორც ახალგაზდა, ათასგვარის იმედებითა და იდეალებით გატაცებული, არაფრად აგდებდა ცხოვრების ფუფუნებას, კაცის დანიშნულებას მხოლოდ უსამართლობასთან ბრძოლაში ხედავდა და სიამოვნებას—დაუღალავ შრომაში. თქმა აღარ უნდა, რომ ქალის მხრივ ამ გვარი შეხედულება ეფემიას სიგიჟედ ეჩვენებოდა. აკი იმიტომაც ყოველგვარ საშუალებასა ხმარობდა თეო ჭკუაზე მოეყვანა.

— აბა შეხედე შენს ტოლებს, როგორ იქცევიან, შენ რაღა ღმერთი გიწყრებაო, ხშირად ეტყოდა ხოლმე ეფემია და მოუთვლიდა: როგორ უნდა ჩაიცვას გასათხოვარმა ქალმა, როგორც უნდა დაივარცხნოს თავი, როდის უნდა გავიდეს გარედ და როდის არა, კაცის დანახვაზე როგორ უნდა მოიქცეს, რაგვარად უნდა წაისვას ფერ-უმარილი და სხვა-და-სხვა. როგორც ხედავთ, ეს სულ უმნიშვნელო რამეა, მაგრამ ეფემია-კი დიდად აფასებდა და სულით და გულით სწამდა კიდეც, რომ ქალის უმთავრესი ღირსება-დანიშნულება „კეკელაობააო“. სამაგიეროდ თეო ხშირად ეკამათებოდა ხოლმე დედას ამ საგნების შესახებ და ეუბნებოდა! „მე თოჯა კი-არა, ადამიანი ვარ, ადამიანი ბ ადამიანს-კი არ შეჰფერის მაიმუნობაო.“ ოხ ღმერთო ჩემო, ნეტა როდის იქნება, რომ ჩვენი მშობელ-აღმზრდელნი საარშიყო საგნებად არ გვამზადებდნენ, ნეტა როდის იქნება, ჩვენ, ქალებსაც, რიგიანი სწავლა-ცოდნა მოგვცენ, რომ მალე გამოვიდეთ იმ უმეცრებიდამ, რომელიც გარს გვახვევიაო.

არ ვიცი, როგორ ასცდა თეო ჩვენის ახალ-გაზდა ქალების საზოგადო მიმართულებას, მხოლოდ ეს-კი ვიცი, რომ ამ გვარის აზრებით გამსჭვალული თეო, სწავლის დამთავრების შემდეგაც მთელს თავისუფალ დროს წიგნების კითხვას ანდომებდა—უკვირდებოდა თავისს თავს, გარემოს, დაუღალავად შრომობდა. ჩვენი ნაცნობი ეფემია „კრეჭის“ თვალით უყურებდა თეოს ლაპარაკსა და საქციელს, ხან კიდეც დასცინოდა და ურჩევდა „რატა-რუტისათვის“ თავი დაენებებინა და ისე მოქცეულიყო, როგორც შეჰფეროდა იმის დედმამისშვილს. ეს შეფერება კიდევ იმაში მდგომარეობდა, რომ თეოს ვინმე „ნასწავლი, ჭკვიანი“ კაცი მოეძებნა და მალე დაბინავებულიყო. თეოს გულში ეცინებოდა ხოლმე, როცა დედა თავისებურ ნასწავლ კაცებს დაუსახელებდა და მშვიდად ეუბნებოდა: „რა დროს ჩემი გათხოვებაა, ჯერ ჭკუა არ მისწავლიაო“.

— არა, შენმა მზემ, კომბოსტოსავით დამჟავდი სახლში და მერე ხელმწიფის შვილი წაგიყვანსო, უპასუხებდა ხოლმე ეფემია და ქალისთვის საქმროებს დაეძებდა. ბევრი ნასწავლი კაცი შეეძლია თეოს, ბევრმა კარისკარ მოსიარულე სასიძოებმა მოიწადინეს თეოს შერთვა, მაგრამ თეო ზიზღით ეგებებოდა ქუჩა-ქუჩა ბედის მაძიებელთ და ერთი, ორი პირშიაც გამოლანძღა.

აი, ამ დღიდამ დაიწყო დედასა და შვილს შორის უთანხმოება. გაიმართა ისეთი ბრძოლა, რომელიც სხვა-და-სხვა მხრით და სხვა-და-სხვა შემთხვევაში ბოლოს უღეს გარეძოებისაგან შეთხზულ მავნე ჩვეულებათ და თითოეული ოჯახი გამოჰყავს სამართლიანობის, განათლების გზაზე. მაგრამ ძვირად დაუჯდა თეოს ეს ბრძოლა. კერპსა და თავისებურ ადამიანს ვერაფერი შეასმინა-რა. ხოლო როცა ზურას დაუახლოვდა ეფემია, საშინელი მოწინააღმდეგე გახდა, აამხედრა ყველა თავისი ნათესავებიც და შეერთებულის ძალით ებრძოდნენ ყმაწვილის ქალის გულ-წრფელ გრძნობას, მაგრამ...დაბრკოლებანი ქარია, რომელიც უფრო აძლიერებს გულზე მოკიდებულ სიყვარულის ცეცხლსა.

სწუხდა თეო დედის ასე მოპყრობის გამო, მაგრამ სიყვარული მომავალს უცისკროვნებდა, გული სტკიოდა, რომ ასე უღმერთოდ ამცირებდნენ, მაგრამ ამავე დროს სიყვარული ცხოველ-მყოფელ ნექტარს ასხამდა უსამართლობისაგან დაკოდილ გულში: „ცოტა კიდევ და ბოლო მოეღება ამ ტანჯვას, ცოტა კიდევ და ჩემ ზურასთან ერთად ბედნიერი ვიქნებიო“. ამ სიტყვებით იქარვებდა თეო გულის დარდს, რადგანაც სწამდა, რომ ცხოვრებაში, საყვარელ არსებასთან თავისუფალი იქნებოდა და თავისუფლება ხომ პირველი ნეტარებაა ქვეყანაზე!

(შემდეგი იქნება).

რომელიც ამ ომის აუცილებლობას გულში არ ატარებდეს და არ ჰშიშობდეს ვაი თუ მოწმედ შევიქნე, როცა ექვსი დიდი სახელმწიფო, რომელთაც 324 მილლიონი მკვიდრნი ჰყავს და 74 მილლიონი საომრად გამოსასვლელი კაციო. ეს ომი, რა თქმა უნდა, ყველა იმ ომზე საშინელი იქმნება, რომელიც აქამომდე ყოფილა და რომელსაც აქამომდე მოურწყავს დედა-მიწა ადამიანის სისხლითაო. ბოლო ყოველ ამისი რა უნდა იყოსო? ისაო, რომ რუსეთ-საფრანგეთის, ანუ ორთა კავშირი გაიმარჯვებსო. „თუ საფრანგეთი და რუსეთი გაიმარჯვებსო, ამბობს ჯიბსონი: მაშინ წინ რაღა დაუდგება ორთავეიან არწივსა დაიპყრას ოსმალეთი, მცირე აზია, სალტესავით შემოერტყას შავზღვას და კასპიისას, შეიერთოს სპარსეთი, შუა-გული აზიისა და მას მერმედ ძალიან მალე ინდოეთიცა. ევროპაში რუსეთი დაიპყრობს რუმინიას, სერბიას და ბოლგარეთსა და ვინ იცის სად შესდგებაო? საფრანგეთი კი დასჯერდება ეგვიპტეს, ოღონდ ინგლისელები იქიდამ გამოდევნონ, და იქმნება ხელთ იგდოს თვით სირიაცაო."

თუ მართლა ომი ფიქრად აქვს ორთა-კავშირსა, ყველაზე უწინარეს ინგლისს უნდა თავს დაეცესო, ვიდრე ინგლისი არ შეერთებია სამთა კავშირსაო, რომელიც ჯერ თავისის თავის დაცვასა ჰფიქრობსო და რომელმაც ვინ იცის—იქნება არც-კი გამოიღოს ხელი ცბიერის ალბიონისათვის, რადგანაც იგი საკმაოდ ათვალწუნებულია მათგანაო და თავ-მობეზრებულიო. აშკარაა ინგლისთან ომი ღზვაში უნდა გადასწყდეს. თუ ფლოტის ძლიერებას ინგლისისას შეჰმუსრვენ, მაშინ თვით ინგლისის დაპყრობა სულ ადვილი საქმე იქნება რუსეთისა და საფრანგეთისათვისაო. დღევანდელი ძალ-ღონე ინგლისის ფლოტისა მეტია, ვიდრე რუსეთ-საფრანგეთისა, ხოლო ეს კი საჭიროა ვიცოდეთ-რომ ხომალდები და გემები ინგლისისა ძველებია, რუსეთისა და საფრანგეთისა კი ახლებია. მაინც-და-მაინც კი ზღვაში თუ ომი ეხლა მოხდა, ინგლისი აჯობებსო. ხოლო მეორეს მხრით ადვილად დასამტკიცებელია' რომ 1896—1897 წლების განმავლობაში რუსეთ-საფრანგეთი აქაც წინ გაასწრობს ინგლისსა, როგორც ხომალდების და გემების მეტობითა, ისეც მათის უკეთესობითაო. თუ ამისთანა მდგომარეობაში მოასწროფს ინგლისს რუსეთი და საფრანგეთი და დარწმუნებული იქნებიან, რომ სამთა კავშირი ნეიტრალიტეტობაზე დადგება, მაშინ ორთა კავშირს ერთად-ერთი შემთხვევა ხელთ ექნებათ ინგლისს თავისი დაჰმართონ.

რაკი ინგლისი დამარცხებულ იქნება, რუსეთი და საფრანგეთი შეიქმნებიან ბრძანებელად ევროპისაო. ძალიან საიმედოა, რომ მაშინ იტალიას სამთა კავშირს ჩამოაცლიან და იქნება მიიბირონ კიდეცა თავისაკენო, რადგანაც დაჰპირდებიან ან აქ, ან იქ რაიმე [illegible] სა და ავსტრიისა მეტად ცუდს ყოფაში ჩაარდებაო. თუნდაც იტალია სამთა-კავშირს არ გადაუდგეს, მაინც ძნელი-და იქნება სამთა კავშირმა გაუძლოს 6,600,000 ჯარს რუსეთ-საფრანგეთისასაო, ნამეტნავად თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ასეთი თუ ისეთი ზარალი ორთა კავშირის ჯარისა ადვილად შეივსება იმ სიდიდე ერისაგან, როგორიც რუსეთის ერიაო.

თუ 1896—1897 წლებში ინგლისი ფათერაკს გადარჩა და არ შეიმუსრა და იტალია გამოვიდა სამთა-კავშირისაგან, მაშინ უეჭველია გერმანია და ავსტრია ყოველს ღერხსა და ღონეს იხმარებენ, რომ მიიმხრონ ინგლისი და ეს ადვილად მოსალოდნელიაო. მაშასადამე, ამ საუკუნის დასასრულში აი რა სურათს ვნახავთო: ერთის მხრით საფრანგეთი და რუსეთი და მეორეს მხრით ინგლისი, ავსტრია და გერმანიაო. რაც შეეხება იტალიას, ყველაზე უმჯობესი იქნება სრული ნეიტრალიტეტი იქონიოსო. მაშინ ახალი სამთა-კავშირი მაინც ჯერ ნაკლების ღონისა იქნება პირისპირ რუსეთ-საფრანგეთისა, თუ ნამეტნავად ამათ მოუდგა იტალიაც, რომელსაც ადვილად დაახარბებენ მით, რომ ტრიესტს, ფიუმეს და სხვას ამისთანას დაჰპირდებიანონ. ამ სახით ერთმანეთის პირის-პირ იქნებიან ორი სამთა-კავშირი, ხოლო ახალი ხომალდებითაც და გემებითაც მეტი იქნება და 3,600,000 ჯარის კაცითაცაო. ამისთანა ყოფაში რომელი მხარე გაიმარჯვებს, ადვილად გამოსაცნობიაო.

ვთქვათ, რომ არაფერი გამოიცვალა, სამთა-კავშირი ისევ დარჩა, როგორც დღეს არის, რუსეთ-საფრანგეთმა კარგი შემთხვევა დაჰკარგა 1896—1897 წლებში, ინგლისი ერთსა და მეორესაც განზე გაუდგა როგორც ეხლაა და არც ერთისაკენ არ გაიწია. ამ შემთხვევაშიაც მარტო რუსეთი და საფრანგეთი მოგებაში დარჩებიანო, იმიტომ-რომ იტალია, ავსტრია და გერმანია იმ დონეზე არიან, რომ ლამის ყოველი ღონე შემოაწყდეთ, მაშინ როდესაც რუსეთს ჯერ კიდევ ბევრი ღონე აქვს ხელუხლებელიო. ეხლანდელ დროში ყველაზე დიდ-მნიშვნელობიანი რუსეთისა და საფრანგეთის კავშირიაო. ამ კავშირს იმისთანა ძალ-ღონე გამოაქვს საპოლიტიკო სარბიელზე, რომელიც უძლეველია თავისის ძლიერებითა, რადგანაც საფრანგეთი ამოუშრობელი აუზია ფულისა და რუსეთი—ჯარისაო. (ვ. ი. ლ.).

## საქართველოს თავადნი.

—

თავადნი ბარათაშვილნი. საქართველოს მეფის თეიმურაზის 1643 წლის გუჯარში რევაზ ბარათაშვილი და შვილნი მისნი შარმაზანი და დავითი თავადებად არიან წოდებულნი.

თავად ბარათაშვილთა გვარეულობა მოხსენებულია საქართველოს თავადთა სიაში, რომელიც საქართველოს მეფის ირაკლი II-ის მიერ რუსეთის მთავრობასთან 1783 წელს შეკრულს ტრაქტატსა აქვს ზედ დართული.

25 მარტს 1826 წელს უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო საბჭოს განაჩენით თავადებად ცნობილ და მე-V გვარეულობათა წიგნში შეტანილ არიან პორუჩიკი მელიტონ ნიკოლოზის ძე ბარათაშვილი და შვილნი მისნი ნიკოლოზი და ალექსანდრე.

საქართველოს მეფის როსტომის 1643 წლის გუჯარში გერმანოზ ბარათაშვილი და შვილნი მისნი: ბოქაულთ-უხუცესი ოთარი, შიოტა, ზერო და კარაზ თავადებად არიან წოდებულნი.

უმაღლესის სენატის დადგენილებით 7 მარტს 1824 წელს თავადებად ცნობილ და V გვარეულობათა წიგნში შეტანილ არიან: 1) საგუბერნიო მდივანი იაკობ ნიკოლოზის ძე და შვილნი მისნი: ივანე, დავითი და გიორგი და 2) ტიტულ. სოვეტნიკი ნიკოლოზ გიორგის ძე ბარათაშვილნი.

26 მარტს 1738 წ. საქართველოს მეფის ძე კონსტანტინე ლევანის ძესთან საქართველოდამ ერთად წასული ნოდარ ბარათაშვილი და შვილნი მისნი: როსტომ, დავითი და რევაზი თავადებად არიან წოდებულნი.

29 ნოემბერს 1839 წელს უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო საბჭოს განაჩენით თავადებად ცნობილ და V გვარეულობათა წიგნში შეტანილ არის კოლეჟ. სოვეტნიკი გრიგოლ ალექსანდრეს ძე ბარათაშვილი და შვილნი მისნი, პორუჩიკნი: თევდორე, ალექსანდრე, მიხეილი და გრიგოლი.

უმართებულესის სენატის დადგენილებით 15 იანვარს 1852 წ., 1 დეკემბერს 1853 წ., 29 ნოემბერს 1855 წ., 30 სექტემბერს 1858 წ. და 7 იანვარს 1870 წ. ამ გვარს შეუერთდნენ თავადნი ბარათაშვილნი: 1) ალექსანდრე, კონსტანტინე და ვლადიმირ ალექსანდრეს ძენი; 2) გრიგოლი, ბორისი და სერგი თევდორეს ძენი და 3) შტაბს-როტმისტრი ბიქტორ პავლეს ძე და შვილნი მისნი: ბიქტორი, ალექსანდრე და ევგენი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

8 დეკემბერი.

**პეტერბურგი.** 7 დეკემბერს, საღამოს, ჰესსენის დიდი ჰერცოგი მეუღლითურთ საზღვარ-გარედ წავიდა. მათი უმაღლესობანი გააცილეს ხელმწიფე იმპერატორმა, იმპერატრიცამ და დიდმა მთავარმა პავლე ალექსანდრეს ძემ.

**ვლადივოსტოკი.** პეკინიდამ იუწყებიან, რომ მთავრობას განუზრახავს ვრცელის რეფორმების შემოღება.

**რომი.** პარლამენტმა მიიღო კრისპის მიერ მოწონებული ფორმულა: „პალატას იმედი აქვს, რომ მთავრობა ღირსეულს სიმაღლეზე დაიჭერს იტალიის იარაღის პრესტიჟს, აფრიკაში მშვიდობიანობას დაამყარებს და მომავალში ეცდება ახალშენი უზრუნველ-ჰყოს,—სახეში აქვს სახელმწიფოთა რჩევა ც პირდაპირ უარს ამბობს ტერრიტორიის გაფართოებაზე და გადადის აფრიკის ექსპედიციის კრედიტის მუხლებათ განხილვაზე". შემდგომ ამისა კანონპროექტი 237 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 136-ისა მიღებულ იქმნა. პარლამენტის სხდომები 8 იანვრამდე გადადებულ იქმნა.

**კონსტანტინოპოლი.** სულთანმა ბრძანება მისცა საზღვაო მინისტრს, რომ ჯავშნიანი გემი „ოსმანიე" და „აზიზიე" და აგრეთვე ორი სხვა ჯავშნიანი გემი მეორე სტაციონერებთან იდგნენ.

**ლონდონი.** „ტაიმს"-ის ცნობებით კონსტანტინოპოლიდამ, მინისტრნი სასახლეში იქმნენ მიწვეულნი, რათა გამოძებნონ საშუალებანი უსაჭიროეს საფინანსო საჭიროებათათვის: ხაზინა სრულიად ცარიელია; ოტტომანის ბანკი სრულიად უარს ამბობს თუნდაც სულ მცირე ავანსი მისცეს ვისმე.

**ლონდონი.** გარეშე საქმეთა სამინისტროს ოფიციალურს კრებაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმ გარემოებამ, რომ შეერთებული შტატების ელჩი არ დაესწრო. ინგლისის გაზეთებმა ხმა დაიმდაბლეს და ამ ჟამად იმაზე ლაპარაკობენ, რომ მეგობრობა დაცულ უნდა იქმნას იმ ერთა შორის, რომელთაც ნათესაობა აქვთო. სადიპლომატო წრეებში როგორც ფიქრობენ, ინგლისი დაუთმობსო. ყველა აქ მოსული ამბები ამტკიცებენ, რომ კლიველენდის ეპისტოლეს დიდი ზედგავლენა მოუხდენია. ეჭვს გარეშეა კლიველენდს ხელახლად ამოირჩევენ პრეზიდენტად, რადგანაც მან დააკმაყოფილა ამერიკელთ სურვილი—აცნობა ამერიკის გარეშე, თუ რამდენად ძლიერია შეერთებულ შტატების ერი.

9 დეკემბერი.

**პეტერბურგი.** გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება, რომ შესყიდულ იქმნან ადგილები და ქონება, რომელიც საჭირო იქნება ამიერ-კავკასიისა და ქიათურის რკინის გზის შესაკეთებლად.

**ვენა.** რუსეთის იმპერატორის პატივსაცემლად გამართულ სადილზე იმპერატორმა ფრანც-იოსებმა შემდეგი სადღეგრძელო მიირთვა: „ვსვამ სადღეგრძელოს ჩემის მეგობრის—ნიკოლოოზ მეორისა".

**ლონდონი.** „ტაიმს" ი ამბობს, რომ ჩრდილოეთ ამერიკის შტატების ყველა გუბერნატორებმა, გარდა ორისა, მოიწონეს პრეზიდენტის კლიველენდის პოლიტიკა. ნიუორკის ფინანსისტთა წრეები-კი ჰკიცხავენ პრეზიდენტის პოლიტიკას, რადგანაც საფინანსო ოპერაციები ნაკლებად არისო.

ბრისტოლში მომხდარ ბანკეტზე ხაზინის კანცლერმა გიკს-ბიჩმა სთქვა: «საქმეთა მდგომარეობა, რომელიც დაბადა ვენეცუელის გამო მომხდარ უთანხმოებამ, თუმცა სერიოზულია, მაგრამ გამოკეთდებაო. იმ გარემოებამ, რომ ინგლისელები და ჩვენ ერთისა და იმავე ტომის ხალხი ვართ, არ შეიძლება ჩვენ შორის ომი შეუძლებელად გახადოს, მაგრამ არა მგონია, რომ ინგლისს მართლა ომი უნდოდესო».

**ნიუ იორკი.** კლიველენდის პოლიტიკის განსახილველად, სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ გარდასწყვიტა საზოგადო კრება მოახდინოს; ზოგიერთი წევრი არ თანაუგრძნობს კლიველენდის პოლიტიკას ვენეცუელის საკითხის გამო. გაზეთი „ნიუორკ ჰერალდ" წინააღმდეგია მონროეს დოკტრინისა („ამერიკა ამერიკელთათვის") და ურჩევს მთავრობას დაფიქრებით იმოქმედოს და დათმობით, მშვიდობიანად გარდასწყვიტოს საქმე.

პეტერბურგის ბირჟა, 8 დეკემბერი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,45 | 7,45 | — „ |
| 5%. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | — „ | 205 |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . . | 100 | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . . | 101 | — „ — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. . | 99½ | | — „ |
| 6% ტფილისის სათათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა . | — „ | — „ | 99 |
| 5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98 | — „ | — „ |


# განცხადებანი

## ქ. თელავს

**იაფად ისყიდება ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი** ეზოთი, ბაღჩითა და ქვითკირისავე გალავნით. ძირის სართულში მოთავსებულია დუქნები, ხოლო ზევითი სართული მოწყობილია საცხოვრებლად. გორის-ჯვრის ეკკლესიის პირ-და-პირ, ძველ-გალავანში. სყიდვის მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ სახლის პატრონს ამ ადრესით:

Г. Владикавказъ, Александровскій пр., собств. домъ, Давиду Давидовичу Баиндурову.

(8—2023—7).

მეფე დავით აღმაშენებელი

**და იმისი დრო**

ისტორიული მონოგრაფია

ნ. ურბნელისა

**ფასი ორი აბაზი**

მომავალ 1896 წელს

სასოფლო მეურნეობის, ვაჭრობის, მრეწველობის, ეკონომიის, სტატისტიკისა, ჰიგიენისა და საბეითალო

ყოველ-კვირეული ჟურნალი

## „მ მ უ რ ნ მ"

(წელიწადი მეცხრე)

გამოვა იმავ პროგრამით, წესითა და ფასად, როგორც დღემდის გამოდიოდა. ჟურნალს მომავალ 1896 წელს მუდმივს თანამშრომლობას გაუწევენ: თ-დი ივანე ზაქარიას ძე ანდრონიკაშვილი, ანატოლი ვუჩინო, გრიგოლ გველესიანი, იოსებ გუნცაძე, არჩილ დარეჯანიშვილი, თ-დი ნიკოლოზ დგებუაძე, თ-დი ალექსანდრე თუმანიშვილი, ნიკოლოზ კურნალი, თ-დი ერმილე ნაკაშიძე, ვასილ სულხანიშვილი, არტემ ფირალოვი, ალექსანდრე შარაშიძე, რაფიელ ჩიხლაძე, დ. მაჩხანელი და სხვ.—ექიმები: გიორგი ბადრიძე, თ-დი ყარამან ჩიქოვანი და სხვ.

ჟურნალს დახმარება აღუთქვა ჩვენმა ცნობილმა პროფესორმა ვასილ პეტრიაშვილმა.

რედაქცია ეცდება მომავალ წელში უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს უძვირესი კულტურის მცენარეთა მოშენებას ჩვენს ქვეყანაში, ვიდრე დღემდის ჰქონდა მიქცეული ამ საგანს. სხვათა შორის მეურნეობის ამ დარგიდან ჟურნალს უმზადებს მომავალ წლისათვის ბ-ნი ანატოლი ვუჩინო ინგლისურ თხზულების თარგმანს:

## ჩაი

მისი მოშენება და დამუშავება.

თარგმანს დამატებული ექნება ბ-ნი ვუჩინოს პრაქტიკული შენიშვნები ჩაის მოყვანის თაობაზე საზოგადოთ ქუთაისის გუბერნიაში და განსაკუთრებით ჩაქვში.

ხელის მოწერა მიიღება:

ქუთაისში: რედაქციაში, გუგუთის ქუჩის გადასასვლელში, ჭყონიას სახლი № 10 და წიგნების მაღაზიებში. გარეშე ადგილებიდან ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ ფულები და დაბარების წერილები: Кутаисъ. Въ Редакцію „Меурнэ".

ჟურნალი ღირს: წლით 5 მან., ნახევარი წლით 3 მან.